ტფილისი

№ 186
1877

ივერია

№ 186
1903

სეკტემბერი 2, სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სეკტემბერი 2, სამშაბათი 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ოთხშაბათს, 3 სეკდემბერს, ქ. გორში ფრანგების ეკკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ექიმის

იოსებ გიორგის ძის სააკოვის,

რასაც აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი განსვენებულისა **ეკატერინე იაკობის ასული სააკოვისა.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

(1—193—1)

სპილენძის მადანი

სურს იყიდოს საფრანგეთის კომპანიამ. ვისაც გასაყიდი აქვს, მიჰმართოს ამ ადრესით: Paris, rue Meslay 41, M. J. Champol.

(5—6—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ მის აგენტს სოსიკო მერკვილაძეს ქ. ქუთაისში შაბათს, 23 აგვისტოს

დაეკარგა

ქართ. დრ. საზოგადოების საწევრო საკვიტანციო წიგნაკი № 6, რომელშიაც 24 ბარათია, მხოლოდ პირველი-კი ამოჰრილია და კუპონზედ აწერია—მიტროფანე ლოლიძე.

გამგეობა უმორჩილესადა სთხოვს, ვინც იპოვნოს, გადასცეს მიტროფანე ლოლიძეს, ან გამოგზავნოს ტფილისში ქ. დრ. საზოგადოების სახელზედ.

(3—უ—2)

გამოვიდა და ისყიდება

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.

ისყიდება: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—4)

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელ მისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6 იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. (10 6—7)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ
14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირ-დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აფეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

⁂ ბათომის ქალაქის მოურავმა თ-დ ანდრონიკაშვილმა, ამ ქალაქის 25 წლის არსებობისა გამო, დეპეშით მოახსენა მის იმპერატორებითს უმაღლესობას, დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს, რომ ბათომის მოქალაქენი, სადღესასწაულოდ შეკრებილნი პარაკლისზედ, გულმხურვალედ ევედრებოდნენ ღმერთს მის იმპერატორებითის უმაღლესობის ჯანმრთელობასა და მრავალჟამიერობას. პასუხად შემდეგი დეპეშა მიიღო მიხაილოვსკიდგან;

„სამწუხაროდ, დიდის მთავრის ავადმყოფობა ნებას არ გვაძლევს მოვახსენოთ თქვენი დეპეშა. დასაფიქრებელი მდგომარეობაა, თუმცა ექიმები იმედს არა ჰკარგავენ ჯანმრთელობის აღდგენისას“.

გენერალ-ლეიტენანტი ბარანოვი.

(„კავკაზი“).

⁂ კვირას, 31 აგვისტოს, სამხედრო უწყების ტაძარში, რომელიც ალექსანდრეს ბაღშია, პარაკლისი გადიხადეს მის იმპერატორებითის უმაღლესობის, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სადღეგრძელოდ, რადგანაც მისი უმაღლესობა ამ ჟამად ავადმყოფობს. ამ პარაკლისის გადახდა ითავა ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებამ. („კავკაზი“).

⁂ ჩვენსგაზეთში (№ 184) დაბეჭდილი იყო ამბავი, ვითომც ტფილისის პოლიცმეისტერი ბ-ნი კოვალიოვი დროებით სამსახურს თავს ანებებსო. ეს ამბავი მართალი არა ყოფილა. ძალიან ვსწუხვართ, რომ ესეთი უსიამოვნო შეცდომა მოგვივიდა.

⁂ 30 აგვისტოს „ივერიის“ რედაქციამ დეპეშა გაუგზავნა პოლტავის ქალაქის მოურავს, რომლითაც თანაგრძნობა გამოუცხადა იმის გამო, რომ ამ დღეს სახელოვან უკრაინელ პოეტ-დრამატურგის ივანე პეტრეს ძის კოტლიარევსკის ძეგლის კურთხევა იყო, დიდის პატივისცემით მოიკითხა ყველანი, ვინც ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო და ისურვა გაძლიერება მალოროსიელთა მწერლობისა, როგორც დიადის სლავიანთა ერის სულის განსაკუთრებულ თვისებათა გამომხატველისა.

⁂ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ჰბეჭდავს შოთა რუსთაველის «ვეფხის ტყაოსანს», სურათებით, წინასიტყვაობითა და ვრცელის ლექსიკონით. წიგნში მოთავსებული იქმნება, ზიჩის სურათებს გარდა, ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. წიგნის ბეჭდვა მალე დამთავრდება.

⁂ ქუთაისის გუბერნიის მარშლის მოადგილემ დეპეშა გაუგზავნა საერო განათლების მინისტრსა და სთხოვს ნება-რთვას ქუთაისის სააზნაურო სკოლასთან მეხუთე კლასი დაარსდესო.

⁂ სომეხ-გრიგორიანთა საეკკლესიო ქონების სახაზინოდ მისაღებად დანიშნულნი არიან ტფილისში: ტფილისის გუბერნიის სამმართველოდგან—საგლეხო საკრებულოს წევრნი ვეიდენბაუმი და კოლობოვი, მიწად-მოქმედებისა და სამეურნეო გამგეობისაგან—სახელმწიფო მამულების ზედამხედველნი ნევსკი და კუპჩენკო.

⁂ გუშინ, 1 სეკდემბერს, სხვა-და-სხვა უწყების მოხელენი, სომეხ-გრიგორიანთა საეკკლესიო მამულების მისაღებად დანიშნულნი, შეუდგნენ თავის მოვალეობის ასრულებას და, პოლიციელთა დახმარებით, რამდენიმე სომეხ-ნერსესიან სემენარიის მამული უკვე ჩაიბარეს. მდგმურებსა და იჯარადრებს გამოეცხადათ, ხელწერილის ჩამორთმევით, რომ დღეის იქით ქირა ხაზინის წარმომადგენელთ უნდა მიეცეს.

⁂ გაზეთ „კავკაზში“ ვკითხულობთ: 31 აგვისტოს ქ. ტფილისში, ვანქის ტაძრის გალავანში, დღისით, 12½ საათზე, გადახდილი იყო პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო 2,000 კაცამდე, წირვაზედ მისული. პანაშვიდი რომ გათავდა, ხალხს პროკლამაციები დაურიგდა სომხურს ენაზედ და იმავე დროს ხალხი დაეხვია იქ მყოფ პოლიციის მოხელეებს და ცემა დაუწყო. მაშინ პოლიციელებს მიეშველა მესამე უბნის ბოქაული გედევანიშვილი, რომელიც იქვე გალავანს გარედ იდგა პოლიციელთა რაზმით. ხალხმა რევოლვერისა და ქვის სროლა დაუწყო პოლიციელებს და ამათაც, თავის უფროსის ბრძანებით, თითო-ოროლჯერ ესროლეს რევოლვერ-ვე. შემდეგ არეულობაზე ტფილისის პოლიცმეისტერი მოვიდა ცხენოსან დარაჯებით და უწესოება მოსპო, თან მოჰყვა ყაზახთა რაზმი და მშვიდობიანობა აღდგენილ იქმნა. პოლიციელთა შორის რავდენიმე დაშავდა; ხალხში ერთი სასიკვდილოდ დაიჭრა.

⁂ არ იქნა და ვერ დამყარდა წესი და რიგი ჩვენს რკინის გზაზედ. საშინელი ქედვა იყო გუშინ-წინ, 31 აგვისტოს ბორჯომიდან ტფილისში მომავალ მატარებელში. ნევსის ყურწი არსად ჩავარდებოდა, ისე იყო გაჭედილი ვაგონები, მეტადრე მესამე კლასისა. ბრუნდებოდნენ ტფილისში მოაგარაკენი და მოდიოდნენ აგრეთვე სხვა-და-სხვა სასწავლებელში მოსწავლე ყმაწვილები თვისის მშობლებითა და ნათესავებით. ყოველს სადგურზედ ემატებოდნენ მგზავრნი. უმატებდნენ ვაგონებს, ისიც თითოოროლას, მაგრამ მჭიდროობა მაინც დიდი იყო. ნუ თუ ამისთანა შემთხვევაში საქმეს ვერაფერი ეშველება შემდეგისთვის მაინც?!

⁂ გამგე კომიტეტი გაგრის სამცენარეულოთა გამოფენისა გვთხოვს ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს, რომ გამოფენის დროს გასინჯავენ სხვა-და-სხვა სისტემის გუთნებსა, რომელიც გამოსადეგია მთა-კლდიან ადგილებში და ახოების გამოსაღებად. საუკეთესო გუთნების პატრონს ჯილდოდ მიეცემა ოქროს მედალი.

⁂ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია: „29 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, განჯაში, ქალაქის განაპირას, სომხეთა ეკკლესიასთან, ზარების რეკაზე შეიკრიბა რამდენიმე ათასი სომეხი. შეკრებილთ უნდოდათ პროტესტი გამოეცხადებინათ წინააღმდეგ სომეხ-გრიგორიანთა საეკკლესიო ქონების გადაცემისა, თანახმად 12 ივნისის უმაღლესის ბრძანებისა და აგრეთვე მოეთხოვათ, რომ ხალხს საჯაროდ წინააღმდეგობა გაეწია ამ კანონის გაიხორციელებისათვის. დარიგებამ და მოთხოვნილებამ ვერაფერი გააწყო და ხალხმა ქვის სროლით პოლიცია და ხაპოლიციო დარაჯი განდევნა მეორე ეკკლესიამდე, რომელიც შუა ქალაქშია. მეორედ მოსთხოვეს ხალხს დაშლილიყო, მაგრამ იმან პასუხად ხელახლა ქვის სროლა დაიწყო. ამ დროსთვის დაბარებული ჯარიც მოვიდა. ცხენოსანთა დარაჯმა და პოლიციამ მესამედ სცადა ხალხის დაშლა, მაგრამ ხალხი ქვისა და რევოლვერების სროლით მიეგება, ამასთან დაიჭრა პოლიციის დარაჯი, პოლიციელი და ჯარის-კაცი ასლანდუზის სათადარიგო ბატალიონისა. მაშინ ჯარმა თოფის სროლა დაიწყო და ხალხი იმ წამსვე დაიშალა. როგორც ჯერჯერობით გამოირკვა, შვიდი კაცი მოკლულია და ოცდა შვიდი დაჭრილია“.

⁂ 28 აგვისტოს ევლახის სადგურის მახლობლად, როგორც „კავკაზს“ ატყობინებენ, მოუკლავთ ექვსი სული სომეხი. მკვლელნი, ექვსი სული, უკვე დაუპატიმრებიათ. მიზეზი შურის ძიებაა.

⁂ როგორც „კავკაზს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, გამოქვეყნებულია ბრძანება, რომლითაც საქართველოს საეკკლესიო სკოლები ეგზარხოსს უნდა ექვემდებარებოდეს.

⁂ აზრადა აქვთ, ამიერ კავკასიის რკინის გზებზე დაუკლონ ღვინის გადასაზიდ ტარიფს. ამის შესახებ მოხსენება რკინის გზის გადასახადთა დეპარტამენტს უკვე დაუმზადებია. ჰფიქრობენ, ფუთს ერთ ვერსზე ⅛ კაპეიკი დაუკლონ. საქმე ამ შემოდგომაზე გადაწყდება.

⁂ 28 აგვისტოს მოჰხდა ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების კრება. კრებამ განიხილა აუარებელი თხოვნა ყმაწვილ-კაცებისა, რომელთაც საშუალო სასწავლებლები გაუთავებიათ და უმაღლესში აპირებენ შესვლას და რომელთაც მოწმობანი უნდა აიღონ მოქალაქეთა საზოგადოების წრიდან გამოსვლისა. ამათ შესახებ კრებამ დაადგინა, მისცეს ეხლავე ყველას დათხოვნის მოწმობანი.

⁂ ამას წინად სასულიერო სემინარიის მთავრობამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, შემოუერთოს ქალაქს ვერაზე ეგრედ წოდებული „ვაკე“ (სადაც სემინარიის სახლი შენდება). ამის გამო საამშენებლო განყოფილებამ სთხოვა მაზრის უფროსს, თვალყური ადევნოს, რომ ადგილის პატრონებმა სახლების აშენების დროს არ შეავიწროვონ წყნეთის ქუჩა.

⁂ ტფილისის საკომერციო სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაში 1, 2, 3 და 4 კლასში თავისუფალი ვაკანსიები გაიხსნა. თხოვნებს მიიღებენ ყოველ დღე 9-დან 2 საათამდე.

⁂ ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში წელს მხოლოდ 94 ყმაწვილი მიიღეს: უმცროს განყოფილებაში 72, ხოლო პირველ კლასში—22. მიღებულთაგან 24 ქართველია. მეორე გიმნაზიაში მიიღეს 106 ყმაწვილი: უმცროს განყოფილებაში 62, პირველ კლასში 44. ქართველი 33-ია. მესამე გიმნაზიაში მიიღეს 77, უმცროს განყოფილებაში 54, უფროსში 9 და პირველ კლასში 14. ქართველი ექვსია. ამ რიგად წელს ტფილისის ვაჟთა სამსავე გიმნაზიაში მიიღეს 63 ქართველი ყმაწვილი.

⁂ ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში წელს ახლად მიიღეს 95 ქალი. აქედან ქართველი 13-ია. მეორე გიმნაზიაში მიიღეს 105 ქალი; აქედან 16 ქართველია. მესამე გიმნაზიაში მიიღეს 102 ქალი; ქართველი 11-ია. სულ სამსავე გიმნაზიაში ქართველი ქალი მიუღიათ 40.

ამ ჟამად ტფილისში რუსეთის რკინის გზების ლიანდაგის უფროსთა კრებაა. შეიკრიბა 25 წარმომადგენელი სხვა-და-სხვა რკინის გზისა. კრება ტფილისის სადგურზეა. ეს წევრნი მოივლიან ერევანს, მერე ბორჯომს, ბაკურიანს და შემდეგ ტყიბულის გზას. 4 სეკდემბერს ტფილისს დაბრუნდებიან.

ყარაიაზს, სოფელ მიხაილოვში, ციებ-ცხელება მძვინვარებს.

ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის ამსრულებელმა განკარგულება მოახდინა, რომ მოქალაქეთა გამგეობის რწმუნებულთა კრება ყოველ კვირას მოახდინონ.

„კავკაზ"-ს ატყობინებენ, რომ 28 ავგისტოს, სალამოს რვა საათზე. სპარსეთის საზღვრის დარაჯების სადგურების შუა, ჩასაფრებულ ცხენოსან დარაჯებს თავს დაესხა ყაჩაღების ბრბო. ყაჩაღებმა მოჰკლეს ერთი დარაჯი და დასჭრეს ორი: ერთი მათგანი სასიკვდილოთაა დაჭრილი. ყაჩაღები სპარსეთს გაიქცნენ.

მარგანეცის მრეწველთა საბჭომ, როგორც მკითხველებმა იციან, შუამდგომლობა აღძრა ჭიათურაში ექვს-კლასიან საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ. სასწავლებელი მრეწველთა ხარჯზე უნდა იქმნას და მასთან სამთო განყოფილებაც უნდა დაარსდეს. როგორც აღმოჩნდა, სამთო განყოფილების დაარსების ნება საერო განათლების სამინისტრომ უნდა დართოს, ხოლო მარტო საქალაქო სასწავლებლის დაარსების ნებართვა სამოსწავლო ოლქსაც შეუძლიან მისცეს. ამიტომ, რათა საქმე არ დაგვიანდეს, მარგანეცის მრეწველთა საბჭოს გადაუწყვეტია, სწერენ „ნოვ. ობოზ."-ს, ჯერ საქალაქო სასწავლებლის დაარსების ნება გამოითხოვონ და მხოლოდ შემდეგისათვის იზრუნონ სამთო განყოფილებისათვისაო.

ზუგდიდან იტყობინებიან, რომ ჩასაფრებულს ავაზაკს კვარაცხელიას მოუკლავს შინისაკენ გზაზე მიმავალი თავ. ილ. დადიანი და ორი მისი მხლებელი. ავაზაკს შემდეგ გაუძარცავს მოკლული დადიანი, რომელსაც თან 800 მანათზედ მეტი ჰქონია, და გაქცეულა.

ამ დღეებში მუშტაიდის ბაღთან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო სამსახურიდგან გადამდგარი მოხელე ნასყიდაშვილი. დამრჩვალის გვამი ყარაიაზის ქვეით ძლივს იპოვეს.

29 აგვისტოს ვარანცოვის ძეგლთან ტრამავის ვაგონიდან გადმოვარდა კონდუქტორი, ზედ ეტლმა გადაუარა და დაშავდა. დაშავებული გაგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში.

24 აგვისტოს ტფილისის სადგურზე გაქანებულ მატარებელ ქვეშ ჩავარდნილა და მომკვდარა ვიღაც „ვოლნოოპრედელიაუშჩი".

ჩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ს. ახმეტა (თიანეთის მაზრა). წელს აქეთკენ აღტაცებითა და სიყვარულით შეჰყურებს გლეხი თავის ნაშრომ ჭირნახულს, რადგანაც სრულებით დაიმედებულია, რომ საკმარისად დაჯილდოვებული იქნება იმისი შრომა კარგის ჭირნახულის მოსავლით. ყანები მკათათვის დამდეგს გაიჭრა და მშვენიერი მოსავალია პურისა.

ეს ერთი თვე იქნება რაც წვიმა არ მოსულა და მეტის მეტმა გვალვამ ლამის მთლად ამოსწვას სიმინდები და, თუ წვიმა ეღირსათ, ახმეტელების სიხარულს სამზღვარი არ ექნება.

ვენახებმა-კი თქვენი, ჭირი წაიღო, თუმცა წელს, თითო ოროლა მევენახის გარდა, ყველამ უწამლა ვენახებს, მაგრამ ამაოდ; ვენახები მაინც ძალიან შეინაცრა. ჯერ შარშან კარგა ზარალი მოუტანა ამ სენმა და წელს-კი უფრო ძალიან აზარალებს.

საზოგადოდ, ახმეტაში ყანისა და სიმინდის მოსავალი ძალიან კარგი იცის.

თუმცა აქაური გლეხობა მეტად გამრჯელია, შრომის მოყვარე და წლის სარჩო ყველას საკმარისი მოსდით, მაგრამ მაინც გაჭირვებით და ბეჩავად სცხოვრობენ. გლეხი კაცი რომ თავის მოსავლით სარგებლობდეს, ხომ ასე ღარიბი არ იქნებოდა. მოსავალი გლეხ-კაცს არას არგებს: სახელი მათია და სახრავი—კი აქაურ დიდ გასიებულ მედუქნეებისა. ჩვენი წლიური მოსავალი უფრო გარეშეთ ეკუთვნის და არა ჩვენა. ოც წელზედ მეტია, რაც ახმეტაში უცხო ტომის მოვაჭრენი ჩამოიხჩირნენ და თანდათან მრავლდებიან და საწყალ სოფლის გლეხებს ძალიან ულმერთოდ აძრობენ ტყავს, საწყალი გლეხის ჭირნახულით ქეიფობენ და ისივებენ დიპებს. დადგება თუ არა კალოობა, ახმეტური მედუქნეები დიდ ფაცა-ფუცში არიან და ამზადებენ ტომრებს. ვაი იმისი ბრალი, ვისაც-კი რაიმე მართებს იმათი: ერთ კოდში კოდ ნახევარს მიიწყავენ. ზოგნი კიდევ დადიან კომლ-კომლ და მოსავალს ნახევარ ფასად იგვეთავენ; რომ უფრო ღრმად გაიდგან ახმეტურ მედუქნეებმა ფესვები და დაუახლოვდნენ გლეხებს, იჩენენ მეგობრებს და უნათლიავდებიან. რა თქმა უნდა, მოვაჭრენი მეგობრებად და ნათესავებად უფრო ხალხში გავლენიანთ ირჩევენ, რომ ვაჭრობის დროს ქომაგობა და მეგობრობა გაუწიონ.

დათიკო გოჯიაშვილი.

ს. ქვემო-მაჩხაანი (ქიზიყი). ამ სოფლის შუა-გულში დიდებულად ამართული წმ. სამების ტაძარი სასიამოვნოდ გაამშვენიერა თავის ფულით ნასყიდ საეკლესიო ნივთებითა და მხატვრობით მისმა მნათემ ვასილ ნადირაძემ და ამას წინად ეკლესიან მავთულის ღობეც შემოარტყა თავისავე საკუთარის ხარჯით ხსენებულ ტაძრის ფართო ეზო-ყურეს, რომელზედაც მშვენიერ ბაღის გაშენებასაც აპირობს საუფლო დღეებში ხალხის სასეირნოდ. კარგი იყო, რომ ქიზიყის ეკლესიების სხვა მნათეებმაც მიჰბაძონ და დაიცვან ტაძარნი ღვთისანი ოთხფეხთა სიბინძურისაგან მაინც უბრალო ღობეების ან თხრილების შემოვლებით.

მთელ სიღნაღის მაზრა-ქიზიყში ერთად-ერთი შეძლებული ქართველი ვაჭარია ვ. ნადირაძე, რომელიც ფარჩეულობას პირდაპირ რუსეთიდამ ეზიდება. ბლომად არიან ქვემო-ქიზიყის სავაჭრო ცენტრ ქვემო-მაჩხაანში სხვა ქართველი ვაჭრებიც, რომელთაც შესამჩნევად გაუსწრეს წინ მეზობელ სომხის ვაჭრებს ვაჭრობის ნიჭითა და უნარით.

ამას წინად აქ მოვიდა რუსეთიდამ ერთი დახელოვნებული ტეხნიკი კაპიტალისტი, რომელიც ქიზიყისათვის დიდად საჭირო სამრეწველო საქმეების გაკეთებას აპირობს მომავალს წელში. უეჭველია, რომ რკინის გზის გამოსვლის შემდეგ ბუნების ყოველის სიმდიდრით შემკული ქიზიყი თვალსაჩინოდ წაიწევს წინ ქონებითა და გონებით.

X.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

28 ავგისტოს შეუსრულდა დაბადებიდან 75 წელიწადი რუსეთის გამოჩენილს მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის. რუსეთის საუკეთესო გაზეთებმა დიდის თანაგრძნობით დაწერილი წერილები უძღვნეს მხცოვანს ბელეტრისტსა და რომანისტს.

— პეტერბურგის ერთ გიმნაზიაში ჰკითხეს, ახალის ცირკულიარის თანახმად, შეგირდებს იმ კლასისას, სადაც 50 მოსწავლე იყო, რა გსურთ, ბერძნულის სწავლა, თუ მის მაგიერ პრაქტიკული ვარჯიში მათემატიკაში, ან რუსულის თარგმანით შესწავლა ჰომიროსის ილიადასი და ოდისეისაო. არავინ არ ისურვა თითქმის ბერძნულის სწავლა. ისურვა მხოლოდ სამმა და ისიც იმისთანებმა, რომელნიც ვერ დაიტრაბახებდნენ კარგს სწავლას და რომელნიც წინა კლასებში ორ-ორი წელიწადი ისხდნენ თითო კლასში.

— ყაზანში დამთავრდა სახლი საერთო ცხოვრებისა სტუდენტებისათვის. სახლი დაიტევს 150 სტუდენტს. თითო ოთახი გათბობით, ელექტრონის განათებით, ადუღებულ წყლით ჩაისათვის და ლოგინის საცვლით ეღირება 9 მან. თვეში, ორ-მაგი ოთახი ორისათვის 14 მან. ამ ენკენისთვიდან გაიმართება იქვე სასადილო, რომლის დეფიციტს საზოგადოება თვითონ კისრულობს. თითო ფერი საჭმელი ეღირება ორი შაური.

— გაზ. „ბესარაბეცისა" და «ზნამიას» რედაქტორის კრუშევანისა და დაშევსკის საქმე ამ დღეებში გაირჩა პეტერბურგში. დაშევსკის ჰბრალდებოდა წინდაწინვე მოფიქრებულის განზრახვით კრუშევანის მოკვლის სურვილი. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გაირჩა საქმე. სასამართლომ დამნაშავედ იცნო დაშევსკი, თუმცა ღირსია შენდობისაო, და გადაუწყვიტა აყრა ღირსებისა და უპირატესობისა და 5 წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

— 27 ავგისტოს აკურთხეს მოსკოვში მატური ცნობილის საზოგადო მოღვაწის დ. თ. სამარინის საფლავზედ.

— დაიწყო კრებანი იმ კომისიებისა, რომელთაც უნდა განიხილონ შუამდგომლობანი სხვის მამულებზედ წყლის გაყვანისა და ჰაობების ამოშრობის მოწყობის შესახებ.

— ტავრიდის სასახლეში განზრახული საისტორიო გამოფენა საიმპერატორო დედათა პატრიოტულ საზოგადოების სკოლათა სასარგებლოდ გაიმართება ბარონ შტიგლიცის მუზეის დარბაზებში მერმის თებერვალს.

— სამთამადნო დეპარტამენტში აგროვებენ ყოველ გვარ მასალას ისეთის დებულების შესამუშავებლად, რომელიც უზრუნველ-ჰყოფს მღვიმე-მაღაროებში მომუშავეთ უბედურ შემთხვევათაგან.

— პეტერბურგის თვით-მმართველობა აშენებს ახალს დიდს სახლს, რომელშიაც 18—20 კლასი უნდა დაეტიოს. სახლს ეწოდება: სახლი ა. ი. პუშკინისა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

მაკედონია. ამ დღეებში სერბიის სხვა-და-სხვა დასთა ყრილობა მოჰხდა ბელგრადში. ამ ყრილობის შესახებ ერთი წარჩინებული მხედარი გაზ. „შტამ. პა"-ში ამბობს, რომ დიდი სახელმწიფოები ამ ჟამად ჯერ შინაურ საქმეებში არიან გართულნი და მერმე საერთაშორისო მეტოქეობაშიო. ამ მიზეზით ძნელი მოსალოდნელია, რომ თავიანთი კერძო ინტერესები უკუაგდონ და მაკედონიის ჩაგრულ ქრისტიანებს გამოექომაგონო. ავტორის აზრით, ისევ ბალკანეთის სლავიანებმა უნდა მისცენ ურთ ერთს მხარი და შეებრძოლონ საერთო მტერს.

მაკედონიის აჯანყებაო—ამბობს ავტორი—დღითი-დღე ვრცელდება. ტანჯულწამებული, სასო-წარკვეთილი ხალხი მოთმინებიდგან გამოვიდა და, როგორც ერთი კაცი, ყველა ერთად აღსდგა მთურგვნელის წინააღმდეგ, რათა ან თავისუფლება მოიპოვოს, ან სრულიად გასწყდეს და მოსისხლე მტერს კი აღარ ემონოს. ეს ხალხი ებრძვის ოსმალთ, ებრძვის ალბანელთ და იძულებულია ებრძოლოს „განათლებულ" ბერძნებსაც-კი... მიშველება-დახმარებას კი არავინა ჰფიქრობს... თუ სერბია, ბულგარია და ჩერნოგორია არ მიეშველა, მაშ ვინღა უნდა მიეშველოს! მხოლოდ ის კი არ იქნება დახმარება, რომ ნოტა წარვუდგინოთ ბრწყინვალე პორტას, ან კიდევ მემორანდუმითა და თხოვნით მივმართოთ ხოლმე დიდ სახელმწიფოებს, როგორც აქამდე ვიქცეოდით: ეს აღარ უნდა განმეორდეს, რადგან სრულიად ფუჭია ასეთი მოქმედება. ჩვენ შეგვიძლია თამამად და ბეჯითად განვაცხადოთ, რომ მაკედონიის სლავიანთა გადარჩენა სრულიად განადგურებისაგან შესაძლოა მხოლოდ შეერთებულ სერბიის, ბულგარიისა და ჩერნოგორიის ძმური გამოსარჩლებით.

ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს ომიანობა. თუ ერთბაშად დავესხმით ოსმალეთს სტრუმის, ვარდარისა და ბოიანის ხეობებით, მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩავაყენებთ.

რადგან იძულებული შეიქნება სამის მხრით გარეშე მტერი იგეროს და იმავ დროს ანგარიში გაუწიოს შინაურ მეამბოხეთაც, რომელნიც გზებს აფუჭებენ და მით ჯარების მოძრაობას მეტად აფერხებენ, ოსმალეთი ვერ მოასწრებს მცირე აზიიდგან ჯარების მოშველებას; ის მხედრობა-კი, რომელიც ეხლა მაკედონიაში ჰყავს—200,000 კაცამდე—ვერ გაუძლებს სერბ-ბულგარ-ჩერნოგორელთა 400,000 ჯარის კაცს. ამ გვარად ჩვენი გამარჯვება იმაზედ იქნება დამოკიდებული, თუ როგორის სისწრაფით ვიმოქმედებთ. თუ ბევრს აღარ დავახანებთ, გამარჯვება უცილობლად ჩვენ დაგვრჩება.

კერძოდ ჩვენ, სერბნი, **სიხარულით** უნდა მივეგებოთ ომის გამოცხადებას. ხმები, ვითომ მზად არ ვიყვნეთ საომრად, ან ქონებრივად ვიყოთ შევიწროვებულნი, უსაქმურ ზარმაცთა ოცნების ნაყოფია. რაც უნდა გაჭირვებულნი ვიყვნეთ ქონებრივად, ოსმალეთზედ უფრო გაჭირვებულნი მაინც არაოდეს არ ვიქნებით. პირიქით, ჩვენი მდგომარეობა ბევრად უმჯობესია ოსმალეთისაზედ. რაიცა შეეხება მხედრობას, ჩვენ ამ შემთხვევაშიაც უპირატესობა გვაქვს: ჩვენი ოფიცრობა გაცილებით მაღლა სდგას ოსმალ ოფიცრობაზედ და შეიარაღებულნიც უკეთ ვართ.

გარდა ამისა დიდი საქმე იყო ჩვენის ქვეყნისათვის სამეფო საგვარეულოს გამოცვლა. სახელი პეტრე მეფისა, შავგიორგის შვილი-შვილისა, თუ კი ომი ასტყდა, გაამხნევებს და აღაფრთოვანებს სერბიის მთელს ერს; მისი პირადი გავლენა, როგორც ხალხსა, ისე ჯარში სიამოვნებით შეასრულებინებს ყოველ სერბს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ბულგარიასა და ჩერნოგორიასთან შეთანხმება ადვილი საქმეა: მხოლოდ მაკედონიის განაწილებაზედ ნურავინ დასძრავს კრინტსა; ეს ამ ჟამად არც არავისათვისაა საჭირო; ტყუილად ხელს მოგვიცარავს და ძვირფასს დროს დაგვაკარგვინებს. სწორედ ახირებულია, ვითომ ორი მოძმე ერი, რომელთაც შეუძლიანთ სისხლი დასთხიონ თავის მოძმეთა განსათავისუფლებლად, შემდეგ, როცა გაიმარჯვებენ, მაკედონიის გამო ერთმანერთს აეშლებიან და ძმათა შუა ომს ასტეხენო. ღმერთმა ნუ ჰქნას! ეს უდიდესი ბოროტება იქნებოდა და კიდეც აღვიგებოდით დედამიწის პირისაგან. რასაკვირველია, ავსტრია მარჯვედ ისარგებლებდა მაშინ ჩვენის სისხლითა და ღვაწლით.

არც ის გარემოება უნდა გვაშინებდეს, რომ ამ დღეებში იმპერატორ ფრანციოსებსა და რუმინიის მეფეს თათბირი ჰქონდათ იშლში. არ უნდა გვაფიქრებდეს აგრეთვე, რომ რუმინია დუნაელთა ორ კორპუსს უყრის თავსა. ეს იმის ნიშანია მხოლოდ, რომ, თუ ჩვენ ომი ავუტეხეთ ოსმალეთს, დიდი სახელმწიფოები ნებას არ მისცემენ ავსტრია-უნგრეთს ჩვენს საქმეში ჩაერიოს; ამიტომ უნდა რუმინები მოგვისიოს, მათის ხელით ჰგლიჯოს ნარი. მაგრამ გაჰბედავს-კი რუმინია მოიმოქმედოს ის, რასაც თვით ავსტრია უფრთხის? ან სხვა სახელმწიფოები მისცემენ ნებას რუმინიას, რომ ბალკანეთის სლავიანთა საქმეებში ჩაერიოს?"..

დასასრულ, ავტორი მოუწოდებს სერბიას, ბულგარიასა და ჩერნოგორიას ავსტრიელ გერმანელთა გაიძვერაობის საწინააღმდეგოდ, რადგან იგინი სთესენ შურსა და მტრობას ბალკანეთის სლავიანთა შორისაო, რომელთაც უნდა დაუმტკიცონ ქვეყნიერობას, რომ ნებაცა აქვთ და კიდეც შეუძლიანთ თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრებაო.

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

გაზეთ „ს.-პეტ. ვედომ."-ის თანამშრომელს ლაპარაკი ჰქონია ბულგარეთის მი-

---

Ფ Ე Ლ Ე Ტ Ო Ნ Ი

ᲛᲣᲜᲯᲣᲠᲘ ᲛᲔᲢᲝᲓᲘ.

ახირებული კაცია ჩვენი იაკობ აღმზრდელი: დაუჟინია, რომ „მუნჯური მეტოდი" პედაგოგიის ისეთივე ღვიძლი შვილია, როგორიც ინკვიზიცია წმინდა სახარებისაო... მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ ინკვიზიცია დიდებს აწვალებდა, რომ სარწმუნოება და სასოება დაეკარგვინებინა მათთვის და „მუნჯური მეტოდი" პატარეებს, ე. ი., მოზარდ თაობას სტანჯავს და ჰქენჯნის გრძნობა-გონებას დასაჩლუნგავად, რომ იმ უბედურებმა თვალსა და ხელს შუა ვეღარა იგრძნონ-რა და ცხვირის აქეთ არა დაინახონრაო. მაშინ როდესაც პედაგოგიის დანიშნულება-კი ის არის, რომ ადამიანს გრძნობა-გონება აუმაღლოს და მით სული გაუმდიდროსო.

— მართალია, რასაც ბრძანებთო!— ემოწმება იაკობს თევდორე გამცემლიძე: —როგორც ინკვიზიცია, ისე მუნჯური მეტოდი გრძნობა-გონებას უჩაგრავს ადამიანს და სულიერადაც აგლახაკებსო, მაგრამ ეს ხომ ქრისტეს მოძღვრების აღსრულებააო: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაო!" და ჩვენც განძრახ ვაგლახავებთ ადამიანს რომ ქვეყნად სამოთხე არ დავაკარგვინოთ და ზეცას სასუფეველი მოვუახლოვოთო". ჩვენც რომ ჩვენდა თავად ვიფიქროთ, მართალს ამბობს იაკობი. ერთის შეხედვით არც თევდორე სტყუის, როცა თავისი რწმენის დასამტკიცებლად ერთ ცხრა ნეტარებათაგანზე გვითითებს: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითო" და სხვანი. მაგრამ... მაგრამი ის არის, რომ ეს სულითი სიგლახაკე სხვა-და-სხვა ნაირად ესმის ამ ორ ქართველს. პირველს ისე როგორც იაკობ მოციქულს ესმოდა და მეორეს-კი ისე, როგორც თევდორე რომაელს. და ამიტომაც ეს მოძღვრება „არ ახალია, ძველია". პირველ საუკუნეშიაც ამის გამო დიდი კამათობა იყო გამოწვეული: თევდორე რომაელი რომ ქრისტიანებს სდევნიდა, ეს ნეტარება ხელზე ჰქონდა დახვეული და უტიფრად ამტკიცებდა: სულით სიგლახაკე ქრისტეს ნაბრძანებ-ნარჩევია და მეც, როგორც დიდი ქრისტიანე, მაცხოვრის ბრძანების მიმდევარი ვარო. იმავე დროს იაკობ მოციქული, ძმად ღვთისად წოდებული, სულ სხვა გვარად ხსნიდა ამ წმინდა ნეტარებას: სულის სიღარიბე და სიგლახაკე ჩვეულებრივ სიღარიბესა და სიგლახაკეს-კი არ ნიშნავსო:—სახარების სულითი სიგლახაკე სხვა არისო. ე. ი. სიყვარული, სათნოება და სასოება ერთად შეთვისებულიაო. და სულით გლახაკიც ის არის, ვისაც სწამს და გულწრფელად აღიარებს „მამაო ჩვენოსო", «იყავნ ნება შენიო», „მოგვიტევენ ვითარცა ჩვენ მიუტევებთო" და „პური არსებისა მოგვეციო".

ვინც სახორციელო გულის თქმით ღარიბია, ის არის მხოლოდ სულით გლახაკი და ამგვარი სიგლახაკე ხორცშესხმულისათვის ნაკლი-კი არ არის, არამედ დიდობაო". ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „კარგს მთქმელს კარგი გამგონე უნდაო". ვერ იყო ქრისტეს იგავის კარგი გამგები თედორე რომაელი და კარგად არ ესმის არც ჩვენს თედორე გამცემლიძეს ეს ჭეშმარიტება და ამას გარდაც კიდევ, რადგანაც სიძველის მკვლევარია, უეჭველად, გაგონილი ექნება ერთი ჩვენებური ზეპირ-გადმონაცემი: დავით აღმაშენებლის დროს გამოვიდა ერთი მცხეთელი ხახამი რჯულის მოძღვრად და იწვევდა საკამათოდ ქრისტიანებს. მეფემ შემოიკრიბა ყოველის კუთხით სულიერი მამები, მაგრამ ებრაელმა ყველას მოუგო სიტყვა-პასუხში. დაღონდა მეფე და აღარ იცოდა, რა უნდა ექნა. ამ დროს მოვიდა ერთი ვიღაც მწყემსი, შიშველ-ტიტველი, და მოახსენა მეფეს: მე შემებას ეგ ვიღაც რჯულის მოძღვარია და ვაყურებიებ მას სეირსო. ურია დათანხმდა და იკითხა: რა ენაზე უნდა მებაასოსო?—რადგანაც მე სხვა-და-სხვა ენები არ ვიცი, მუნჯურადაო!—მიუგო მწყემსმა.—დათანხმდნენ და დაუმუნჯურეს ერთმანეთს: ურიამ ერთი თითი უჩვენა მწყემსს.

მწყემსმა სამი თითი შეატყუპა და დაანახვა.

ურიამ გაშალა ხელის გული და მიუშვირა ქრისტიანს.

ქრისტიანმა მოუჭირა ხელი და მოუღერა ურიას.

შეკრთა ხახამი. შერცხვა. ჩაღუნა თავი და მოიკაკვა თითი.

გამოიჯგიმა მწყემსი. შემოიდგა დოინჯები და შეაჩერდა მედიდურად ურიას.

„მიჯობნიაო" მიაძახა მწყემსმა.

— გიჯობნიაო! —დაეთანხმა ურიაც და გადგა განზე. ხალხი გაოცებული მიჩერებოდა და არა გაეგებოდა-რა. შეიხმო მეფემ ხახამი და გამოჰკითხა საიდუმლო: რა გითხრა იმ მწყემსმა მისთანა, რომ თავი დამარცხებულად იგრძენიო?— როგორ რაო? მოახსენა ბრძენმა: მე რომ ერთი თითი ვუჩვენე, ეს იმას ნიშნავდა რომ „ერთ არს ღმერთი მეთქი." იმან სამი თითი მიჩვენა და მიპასუხა, არა „სამებით არისო"! მე რომ ხელის გული გავუშალე იმითი ის ვანიშნე, რომ „თუ სამებით არის, აი ქვეყანაო რა უყო მეთქი? ესე იგი, ჯვარს რომ აცვა. იმან რომ მუჭი მიჩვენა, იმით მიპასუხა, რომ მართალია, მაგრამ ქვეყანა მაინც და მაინც ხელში უჭირავსო!.. მერე შეიხმო მეფემ მწყემსი და იმას ჰკითხა: რას ეუბნებოდით ერთმანეთს? მწყემსმა მოახსენა, რომ შემხედა, დამცინაო, თითი დამანახვაო, ვითომ და ჩემი თითივით შიშველი ხარო. მე სამი თითი გავიკეთე პირჯვრის გამოსახავად, რომ ღმერთი მოწყალეა თქო. იმან ეს იწყინა და ხელის გული მაჩვენა, ვითომ სილას გაგარტყამო. მეც გული მომივიდა და მუშტი მოვუღირე: ცემაზე ნუ მივარდება საქმე, თვარა ამ მუშტს ხომ ხედავ? მისთან-მისთანას გითაქებ, რომ ჭკუა დაგიბნიო მეთქი. იმას შეეშინდა და მომშორდაო. გამეცინა დავით აღმაშენებელს და სთქვა: „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნიო". მწყემსს გოლიათს მოაკვლევინებ და მუნჯს მეტყველზე ძლევამოსილს ჰყოფო!" ეს ლეგენდა რომ იცის ჩვენმა თედორე გამცემლიძემაც, ალბად ამიტომ არის მუნჯურის მეტოდის მომხრე და იაკობს კი არა სჯერა. მე კი, როგორც პოეტი, იმ აზრისა ვარ, რომ „მუნჯური მეთოდი" ჩვენს სკოლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიტანს ნაყოფს, თუ რომ ჩვენც ჩვენის მხრით, როცა სხვები თითს გვიჩვენებენ, სამს თითს შევჰკონავთ ერთად და, როცა ხელის გულს გაგვიშლიან, ჩვენც თითებს დავმუჭნავთ და მუშტს ვუჩვენებთ, იმ წყემსივით.

აკაკი.

ნისტრ-პრეზიდენტ პეტროვთან, ბულგარეთის აწინდელს მდგომარეობაზედ; პეტროვს უთქვამს, ბულგარეთის მთავრობას ღონე არ შესწევს, რომ შეაყენოს ხალხი, რომელსაც ოსმალეთთან ომი სწყურიან.

«ევროპას,—უთქვამს მას,—არა სურს, რომ ბულგარეთმა ომი გამოუცხადოს ოსმალეთსა. ევროპას უნდა, რომ ჩვენ მაკედონიის საქმეები ჩავაქროთ. მაგრამ ევროპამ ის არ იცის და არც სურს შეიგნოს, რომ შეგვიძლიან თუ არა ამის შესრულება. შეგვწევს თუ არა ღონე, გავუმკლავდეთ მთელს ხალხსა. ჩქარა, ძალიან ჩქარა დაჰკრავს ის საათი, როდესაც ხალხი და ჯარი მოითხოვს ომსა და ჩვენ იძულებულნი ვიქნებით შევასრულოთ ნება ხალხისა, თორემ მოგველის შინაური ამბოხება. მოგეხსენებათ, რომ მაკედონიის ამბოხება მთლად ბულგარეთის ეკონომიურს ცხოვრებაზე მოქმედობს. მაკედონიაა ერთად-ერთი ჩვენი გარეშე ბაზარი. მინამ ამბოხება იქნება, ჩვენს საქონელს გასავალი არ ექნება, ხალხი გაღარიბდება. როდესაც გავრცელდა ხმა, ომი იქნებაო, საზღვრებზე მცხოვრებელმა ხალხმა ნახევარ ფასად გაჰყიდა პური და ყოველივე, რაც კი ებადა; ჩვენ დიდი ცდა დაგვჭირდა, რომ ხალხი შეგვეკავებინა. მე სიტყვა დავსდე, რომ არ შევუწყობ ხელს ამბოხებასა, და ვადგივარ კიდეც ამ სიტყვას. მაგრამ საქმე თუ ასე ივლის, როგორც აქამდე, მაშინ ჩემს სიტყვას რაღა ძალა აქვს. ჩვენ თვით გვინდა მშვიდობიანობა. გაძლევ პატიოსან სიტყვას, არც მე, არც მთავრობას, არც დასებს არა ჰსურთ, არც კი ფიქრობენ, ოცნებაშიაც კი არ გაუტარებიათ, რომ მაკედონია შემოვუერთოთ ჩვენს სამფლობელოს. ჩვენ ძალიან ცოტა რამ გვსურს, ვიდრე მაკედონიის ავტონომია: ჩვენ გვსურს, მაკედონიამ შინაური მშვიდობიანობა მოიპოვოს და მართებლობის თავგასულობას ბოლო მოეღოს. ეს ოსმალთა კანონებში კი სუფევს, მაგრამ საქმით კი არა სრულდება. ჩვენ გვსურს მშვიდობა, თორემ ბულგარეთი დაიღუპება.

რუსეთის სამხედრო გემების მოსვლა, უთქვამს პეტროვსა, მაკედონელებმა თავისებურად მიიღეს: იმათ წარმოიდგინეს, გემები იმიტომ გამოგზავნესო, რომ ოსმალეთს ომს უცხადებს და მით მაკედონელთა შეწევნა უნდაო. ამიტომ იყო, რომ მიადგა თუ არა ესკადრა შავ ზღვის დასავლეთის კიდეებსა, ერთბაშად იფეთქა ამბოხებამ იმ ადგილებშიც, სადაც მშვიდობიანობა იყო დამყარებულიო.

—

გაზეთ „ორლ. ვესტ“-ის თანამშრომელს ვულის-ტკივილით აქვს აწერილი პანაშვიდი, რომელიც ორლოვში გადაიხადეს ი. ს. ტურგენევის ოცის წლის გარდაცვალების თავზე.

„გულს მღრღნიდა შეურაცხყოფა იმისა გამო, ვის სახელის პატივისცემას იგონებდა „ორლოვის საზოგადოება».

«ორლოვის საზოგადოება»! რა მწვავე ირონიაა ამ სიტყვებში! მასწავლებელნი და მოსწავლენი დაბალის სასწავლებლებისა, ორი წარმომადგენელი ქალაქისა, წარმომადგენელი თავად-აზნაურთა, წარმომადგენელი ერობისა... ერთის სიტყვით, მხოლოდ ოფიციალურნი პირნი... ერთი სტუდენტი, ერთი აფიცერი, ერთი გიმნაზიელი და რამდენიმე მოხელე (ჩინოვნიკი)... ორიც გლეხი ბოლოხოვიდამ, რომელთაც გზად გამოეარნათ და გაეგოთ რა, რომ მწერალს პანაშვიდს უხდიანო, შეჩერებულიყვნენ...

ამას დაუმატეთ ჩვენი რედაქცია და თქვენ თვალთა წინაშე წარმოსდგება მთელი ორლოვის საზოგადოება, რომელიც დაესწრო იმ მწერლის პანაშვიდზე, ვისაც ჩვენს ლიტერატურაში ტოლსტოის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა.

ორლოვის საშუალო სკოლამ არ გააბედნიერა ტურგენიევის პანაშვიდი თვისის თანადასწრებითა: არავის გაუგზავნია.

რუსის ქალები!!.. ის ქალები, რომელთაც ისე ლმობიერად და სიყვარულით აღწერდა ხოლმე ტურგენიევი და ისეთს უმაღლესს ზნეობითს წერტილზედ აღიყვანა, რომლამდინაც არც ერთს რუსის მწერალს არ აღუყვანია... აი ეს ქალები სულაც არ ბრძანდებოდნენ პანაშვიდზე.

ისე ყოფილა, როგორც პეტერბურგშიო, დასძენს გაზეთი „ნოვოსტი“, რომელსაც მოჰყავს „ორლოვ. ვესტ.“-ს თანამშრომლის სიტყვები.

ღმერთო, უარესისაგან დაგვიხსენ დავსძენთ ჩვენის მხრივ.

წერილები
რედაქციის მიმართ.

I.

ამ ორის, თუ სამის წლის წინად ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში წარდგენილ იყო საპრემიოდ სხვათა შორის, ერთი ხუთ-აქტიანი, ლექსად დაწერილი დრამა «მამა და შვილი», რომელიც კომიტეტის მიერ არ იქმნა მოწონებული და უკან უნდა დაჰბრუნებოდა ავტორს. ეს პიესა რამდენჯერმე მოიკითხა ავტორმა, მაგრამ აქამდის არ მიუღია. ბევრი სძებნეს კანტორის განჯინებში და ვერსად იპოვნეს. შეიძლება ვისმე ჟიურისა, ან წინანდელ ანუ ეხლანდელ გამგეობის წევრთაგანს დარჩა. რადგან ყველა წევრს მე არ ვიცნობ, ამისათვის გაზეთის საშუალებით უმორჩილესად ვსთხოვ, თუ ვისმე აღმოაჩნდა ხსენებული პიესა, გამოუგზავნოს იგი დრამ. საზ. კანტორაში, ან «ივერიის» რედაქციაში ავტორისადმი გადასაცემად.

ავტორი.

II.

გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის «ივერიის» საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნ მ. აჯიამაშუდოვს, რომელიც ყოველთვის დაუღალავია ყველა კეთილ საქველ-მოქმედო საქმისათვის. მაგ., ჩვენს მცირე თხოვნაზედ არ დაიზარა და დაგვეხმარა, ჩვენ-მიერ გამართულ 6 აგვისტოს საქველმოქმედო აზრით საღამოში ცოცხალ სურათების დადგმით, რაშიაც არავითარი სასყიდელი ჩვენგან არ მიიღო. აგრეთვე მადლობას ვუძღვნით იმათ, რომელთაც იშრომეს და არ დაზოგეს თავიანთი წვლილი ამისთანა სიმპატიურ საქმისათვის.

საღამოს გამგენი: კნ. ელენე ილიას ასული აფხაზისა, თინათინ გიორგის ასული ფორაქაშვილისა.

დეპეშა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აგვისტო.

პეტერბურგი. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე უფრო კარგადაა. ღამე კარგად გაატარა.

იოკოჰამა. ქალაქი ინკოუ შავის ჭირის მხრივ საშიშია, რადგან აქ ერთი კაცი შავის ჭირით გახდა ავად. ნიუჩჟუანში შავი ჭირი გაჩნდა; კვირა დღეს 18 კაცი მოკვდა.

სტამბოლი. ნაზიმ-ფაშა ორის ბატალიონით ბეირუთში მივიდა. უწესოების მეთაურები ბევრი დაატუსაღეს. ზოგიერთს დაჰკარგვენ. ბეირუთში ეხლა ისევ მშვიდობა სუფევს.

ბელგრადი. „ნაროდნი ლისტი“-ს დღევანდელი ნომერი მთავრობამ აღკრძალა, რადგან ამ ნომერში დატუსაღებულ ოფიცრების მოწოდება იყო დაბეჭდილი. მოწოდებაში ოფიცრები თავიანთ ამხანაგებს ურჩევენ, მოითხოვეთ, რომ მეფის მკვლელი ოფიცრები სამსახურიდან გადააყენონო.

რომი. სტამბოლიდან ცნობა მოვიდა: პორტამ იტალიის ელჩს შეატყობინა, დამასკის ვალიმ ბრძანება მიიღო, დაუყოვნებლივ ბეირუთს წადი და თან ჯარი წაიყვანე მშვიდობიანობის აღსადგენადაო. უწესოების უმთავრესი ამტეხნი ზოგი დატუსაღებულ იქმნება, ზოგი განდევნილი. ლიბანის გუბერნატორსაც შემწეობა მოსთხოვეს, რომ აღელვება უფრო არ გავრცელდეს.

ბელგრადი. გაჩირაღდნებული ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი; დაახლოვებით 150 კაცი ოპოზიციის გაზეთების „ვეჩერნი ნოვოსტი“-სა და „ნაროდნი ლისტი“-ს რედაქციებისაკენ გაემართა; „ნაროდნი ლისტი“-ს რედაქციის ფანჯრების შუშები დაამსხვრიეს. „ვეჩერნი ნოვოსტი“-ს პატრონები ფანჯრიდან რევოლვერებს ესროდნენ ხალხსა; ოთხი კაცი დასჭრეს. დემონსტრანტები ოსმალეთის მისიისაკენ აპირობდნენ წასვლას, მაგრამ ცხენოსანმა პოლიციელებმა დაუშალეს.

სტამბოლი. ნაზიმ-ფაშა ვალად დანიშნეს ბეირუთში. ხალხი აღტაცებით მიეგება ნაზიმ-ფაშას.

სოფია. ხვალ დიდ სახელმწიფოების წარმომადგენლებს მემორანდუმს ჩააბარებენ. მემორანდუმში ნათქვამია, 55 ათასი მაკედონიელი ბოლგარი უსახლკაროდაა დარჩენილიო.

სტამბოლი. ბეირუთში აღელვება ამერიკის ესკადრის მოსვლამ გამოიწვია. ამერიკელებს ჯარის გამოყვანა უნდოდათ, მაგრამ ვალიმ აცნობა: თუ ჯარს გამოიყვანთ, მე ადარაფრის პასუხის-გებას აღარ ვკისრულობო.

ბერლინი. გერმანიის იმპერატორისა და ავსტრიის იმპერატორის შეხვედრას ვენაში სახელმწიფო კანცლერი გრაფი ბიულოვიც დაესწრება.

ბელგრადი. მეფის ლეიბ-მკურნალად ნამყოფი ველიჩკოვიჩი დაატუსაღეს.—ნიშში დატუსაღებული ოფიცრები ციხეში გადაიყვანეს.

ათინა. შეიარაღებულ კრიტელების გუნდი საბერძნეთ-ოსმალეთის საზღვარს გადავიდა, მაგრამ ისევ თესალიაში დააბრუნეს. საზღვარს უფრო კარგად დაიცავენ.

ბერლინი. „დოიჩე ბანკ“ ოფიციალურად შეატყობინეს, ხონთქარმა ხელი მოაწერა ირადეს (ბრძანებას) სახელმწიფო ვალის გაერთიანების შესახებო.

რომი. ხმა დადის, მეფე ნოემბრის შუა რიცხვებში ინგლისს წავაო.

29 აგვისტო

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორის ასული 27 აგვისტოს უგუსკის სადგურზე წავიდნენ ვარშავის ოლქის აღლუმზე დასასწრებლად.

სტამბოლი. ხონთქრის ირადე ვალების გაერთიანების შესახებ დღეს გამოცხადდა.

სტამბოლი. კრუშევოში მომხდარ ამბების გამო დაზარალებულ ბერძნებს ხონთქარმა 300 ოსმალური ლირა შესწირა და ამას გარდა ბძანა, დანგრეული ეკკლესია ხელ-ახლად ააშენეთო.

პარიჟი. გაზეთებს სწერენ მარსელიდან, რომ კარტონის ფაბრიკაზე შავის ჭირით გახდნენ მუშები ავადაო, ღონისძიება მიიღეს, რომ ჭირი არ გავრცელდეს; ალარაფრის შიში აღარაა.

ლონდონი. ამას წინად ამერიკელებმა 7 კუნძული დაიჭირეს სანდაკანთან.

ბორნეო. ამერიკის სამხედრო გემი ხელახლად მივიდა ბორნეოში და ორი თუ სამი კუნძული დაიჭირა. ამბობენ, კუნძულების დაჭერის თაობაზე ლონდონსა და ვაშინგტონს შუა მიწერ-მოწერა გაიმართაო.

სტამბოლი. ლიბანის გუბერნატორმა მუზაფერ ფაშამ მოწერილობა მიიღო, ლიბანის საზღვარზე წადით, რომ იქ ხალხი არ აღელდესო. პორტა აცხადებს, მუსულმანები ამერიკის გემების მოსვლამ ააღელვაო.—დერეკში ბოლგარ ოფიცრების ეპოლეტები იპოვეს.—ეხლა დამტკიცდა, რომ ის აჯანყებულნი, რომლებმაც ხადუკი და ტალისმანი დაანგრიეს ბოლგარიიდან მოსულები ყოფილან.—სალონიკის ვილაეტში, რაზლოგს ახლო ტუშორესის ხეობაში, აჯანყებულთ რაზმი ოსმალების ჯარის რაზმს დაეცა. აჯანყებულთ წითელი მუნდირები ეცვა და სამხედრო საკრავები ჰქონდათ სიგნალის მისაცემადო.—პორტას მაგდენად არ აწუხებს ის ცნობა, რომ უსკიუბის ვილაეტის საზღვარზე, სერესის სანჯაყში, როდოგის მთებში აჯანყებულთა მოქმედება გაძლიერდებაო; ამ ადგილებში საკმაო ჯარი ჰყავს ოსმალეთს.—მონასტირის ვილაიეტსა და ყირხ-ქილისის სანჯაყში მებრძოლ ბოლგართ რაზმებზე პორტა აცხადებს: თუმცა აჯანყებულთ უმთავრესი ბინები და დიდი რაზმები მოსპობილია, მაგრამ აჯანყებულთა პატარ-პატარა რაზმები მაინც კიდევ მოქმედებენო; ესენი ახალ მომხრეებს შოვობენ, ბოლგარიიდან ნივთიერ შემწეობას იღებენ და მაკედონიის დამშვიდებას მეტად უშლიან ხელსა ეს შემწეობა უსათუოდ უნდა მოისპოს.—საბერძნეთის ელჩმა ოსმალეთის მთავრობას წინადადება მისცა, ღონისძიება მიიღეთ, რომ ოსმალეთის ჯარი სოფლელ ბერძნებს მაკედონიაში უწესოდ აღარ მოექცესო. რუსეთი და ავსტრია-ჰუნგრეთიც საბერძნეთის ელჩს მიემხრნენ.

30 აგვისტო.

პეტერბურგი. დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის მდგომარეობას უკანასკნელ დღეებში შესამჩნევი ცვლილება არა დასჩნევია. თვით-გრძნობიერება რამდენადმე უკეთესი აქვს.

უგრუსკი. ღამის მეათე საათს მივიდა ხელმწიფე მემკვიდრე. თერთმეტის ნახევარზე საიმპერატორო მატარებელი მოვიდა. გუბერნატორმა დედოფალს თაიგული მიართვა, ხელმწიფე იმპერატორს-კი —ვლოდავსკის მაზრის აღწერილობა.

ვლოდავა. დილის 9 საათს მობრძანდნენ ხელმწიფე-იმპერატორი, დედოფალი და მემკვიდრე; თან ახლდნენ სასახლისა და სამხედრო მინისტრები და ვარშავის გენერალ-გუბერნატორი. ქალაქ ვლოდავის საზოგადოებამ, სედლეცისა და გროდნოს გუბერნიების გლეხებმა პურმარილი მიართვეს. სედლეცის გუბერნიის თავად-აზნაურობამ საუცხოვო თაიგული მიართვა დედოფალს. ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი და მემკვიდრე ვოგზლიდან ჯარის აღლუმზე წავიდნენ.

პარიჟი. კარტონის ქარხანაში მომუშავეთა შორის მარსელში არავინ გამხდარა მეტი ავად საეჭვო ავადმყოფობითა. ვინც ავადგახდა იმათგან არავინ მომკვდარა ჯერ.

ტულონი. ხმელთა შუა ზღვის ესკადრის უფროსმა ბრძანება მიიღო, მზად გყავდეს სამარი გემები: „ბრენუს“, „ლატუშ“, „ტრევილ-ღიუ-შოლა“ და „ლეგიუსი“ და, რა წამს გიბრძანოთ, დაუყოვნებლივ წახვიდეთ მაკედონიაში მცხოვრებ საფრანგეთის მკვიდრთა დასაცველადო.

ლონდონი. მთელს ინგლისში და ირლანდიის არხში ქარიშხალი და დიდი წვიმები იყო; ბევრი სახლი დაანგრია და გემები გააფუჭა. ტელეგრაფი დაწყვეტილია. რკინის გზებზე მიმოსვლაც გაძნელდა.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტმა ინგლისის პროტესტი მიიღო ბორნეოსთან კუნძულების დაჭერის გამო. მთავრობა გამოძიებას შეუდგა.

ჩიკაგო. აქ მცხოვრებნი მაკედონელნი პოლკს ამზადებენ, რომელიც ბოლგარიის სამსახურში ყოფილ პორუჩიკის წინამძღოლობით მაკედონიას უნდა წავიდეს და იქ აჯანყებულთ შეუერთდეს.

სოფია. ჰუნგრეთის მთავრობამ აღუკრძალა ბოლგარიის მთავრობის მიერ შეკვეთილ მანლიხერის სისტემის თოფებისათვის 10 მილიონ პატრონის გაგზავნა. გუშინ-კი ჰუნგრეთის ცხენებით 30 სავსე ვაგონი მოვიდა.

ვლოდავა. უგრუსკში ხელმწიფე იმპერატორმა, დედოფალმა და მემკვიდრემ სოფელ სასიბორის მცხოვრებთაგან პურმარილი მიიღო. აღლუმიდან ვლოდავაში დაბრუნებისას მათ უდიდებულესობათ ქალაქზე გაიარეს და ტაძარში მივიდნენ; აქ მდგომნი ნამსახურნი ჯარის კაცნი გააბედნიერეს რამდენისამე სიტყვით. დედოფალს გლეხებმა ცოცხალ ყვავილებისაგან გაკეთებული ბალიში მიართვეს. ხელმწიფემ მადლობა გადაუხადა. ქალაქი გამშვენიერებულია, ხალხი აღტაცებით ეგებება მათ უდიდებულესობათ; ყველგან წესიერებაა. სადგურიდან მათი უდიდებულესობანი ურგუსკს წაბრძანდნენ.

დილის 10 საათს სადგურზე მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი და მემკვიდრე ამალითურთ. მიეგებნენ მთავრობის წარმომადგენელნი. ხოლმის რუსეთის წარმომადგენელნი მიიღო პურმარილით, აგრეთვე ლუბლინსკის გუბერნიის გლეხები და რადეჩნიცკის დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ათანასია. მერე აღლუმს დაესწრო, რის შემდეგ საავადმყოფო და იქვე ეკკლესია დაათვალიერეს და იქიდან მეოთხე საათზე ურგუსკს გაემგზავრნენ.

სტამბოლი. ინგლისელი პოლკოვნიკი მასსი ყირხ-ქილისს გაემგზავრა საქმეთა მდგომარეობის შესატყობად.

ადრიანოპოლიდან მოსულ ცნობათა თანახმად, ყირხ-ქილისში არეულობა დაცხრა, განაპირა ადგილები აჯანყებულთაგან ერთიანად გაწმენდილია.

ბეირუთში ხელ-ახლა მშვიდობიანობა აღადგინეს.

კონსულების ცნობებით მონასტერში აკლებულია 80-დან 100-მდე სოფელი; ყირხ-ქილისში—20-დან 30-მდე:

31 აგვისტო.

პეტერბურგი. დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ჯან-მრთელობა ყოველის მხრით უკეთესობაშია რადგან ავადმყოფობა ისეთის თვისებისაა, რომ ახლო მომავალში საგრძნობელი ცვლილება შეუძლებელია, ამას იქით ბიულეტენები დრო გამოშვებით გამოცხადდება.

ვლოდავა. ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა კეთილ ინებეს და პრივისლიანსკის რკინის გზათა მოძრავი საავადმყოფო დაათვალიერეს, რომელიც საგანგებო ვაგონშია მოთავსებული და მეცნიერულის მხრივ საუკეთესოდ მოწყობილია.

პოლტავა. მთავრობისა და დაწესებულებათა წარმომადგენლებისა და გალიციიდან მოსულ დეპუტაციების თანადასწრებით კოტლიარევსკის ძეგლი აკურთხეს; აურაცხელი ხალხი დაესწრო. ძეგლი დაჯდა 15,000 მანეთი შემოწირულობით შეგროვილი.

იაროსლავსკი. დემიდოვის ლიცეის ასის წლის არსებობის იუბილე 2 საათს დაიწყო. ოლქის მზრუნველმა უმაღლესი გრამოტა წაიკითხა და გამოაცხადა, ლიცეის 500 თუმანი ებოძა, რომ ლიცეიში მოსწავლე სტუდენტებს უკეთესი საჭმელი ეძლიოთ. შემდეგ დეპუტაციები მიიღეს და მილოცვის ადრესები და დეპეშები წაიკითხეს.

ვლოდავა. დილის მეათე საათს მათი უდიდებულესობანი უგრუსკს მობრძანდნენ და აქედგან ქალაქს ახლო მდგომარე ჯარებისაკენ გაემგზავრნენ. მშვენიერი ამინდია. ხელმწიფე იმპერატორმა ცხენით შემოუარა ჯარს, ხოლო დედოფალმა—ეტლით. შემდეგ მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით უმაღლესი საუზმე იქმნა გამართული 2,500 კაცისათვის. საუზმის შემდეგ მათი უდიდებულესობანი ვოგზალზე დაბრუნდნენ და ალექსანდრე მე-II სახელობაზე დაარსებულ ინვალიდთა სადგომის დეპუტაცია და ბავშვები მიიღეს და სამ საათს ბრესტს წაბრძანდნენ.

სტამბოლი. ყირხ-ქილისში 28 ბატალიონი და 6 ბატარეია დგანან.

— ადრიანოპოლიდან ყირხ-ქილისში მიმავალმა ჯარმა იენიჯეში უწესოება მოახდინა და ეკლესიაც გაძარცვა. ოლქის შიდა ადგილებიდან საშიში ცნობები მოდის. ჯარს სოფლები ერეკლერი და ალმაჯინი აუკლიათ.

— ყირხ-ქილისში და სხვაგანაც მთავრობა ყოველს ღონესა ხმარობს, რომ დატაცებული ნივთები შეჰკრიბოს და პატრონებს დაუბრუნოს.

ბელგრადი. მეფემ გადასწყვიტა. არჩევანების გათავების შემდეგ დაუყოვნებლივ საპარლამენტო მთავრობა შეადგინოს. სკუპშჩინას ადრე მოწვევა მეფის სურვილის თანახმად მოხდა. ნიშში მდგომ ჯარში მოსამსახურე და დატყვევებულ ოფიცერთა საქმე თავის კვალობაზე მიდის სასამართლოში. ყველანი დარწმუნებულნი არიან რომ კარგად დაბოლოვდება. 24 დატუსაღებული ოფიცერი აქ მოიყვანეს. სასამართლოთა ოქმები სამხედრო მინისტრს წარუდგინეს.

სოფია. შიდა მაკედონიაში არეულობის მომქმედთა რწმუნებულებმა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ მემორანდუმი წარუდგინეს, სადაც მუქარაა გამოცხადებული: აჯანყებულნი შურისძიებას დაუწყებენ ოსმალელებს და ამის ბრალი ორ-პირის პოლიტიკით მომქმედ დიდ სახელმწიფოებს დააწყდებათ თავსა, თუ ოსმალეთი ბოლგარელების ამოწყვეტას თავს არ დაანებებსო.

ბერლინი. ტიანძინში ხოლერა გაჩნდა.

ვენა. წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა შესაწევრად და გაფუჭებულ გზების აღსადგენად მთავრობამ 15 მილიონი კრონი გადასდო.

პარიჟი. კრეისერი „ლატუშ-ტრევილი“ ციკლადის კუნძულებისაკენ წავიდა.

— მარსელში 19 კაცი გახდა ავად საეჭვო ავადმყოფობით; ამათგან 13 გარდაიცვალა.

მერზერბურგი. იმპერატორი ჰუნგრეთს წავიდა.

ლეიჩესტერი. ხელოსანთა კორპორაციების კონგრესმა დაადგინა: ბოლგართა გაჟლეტას ზიზღს ვუცხადებთ და ვსთხოვთ მთავრობას ბულგარელების საქმეებში ჩაერიოს.

ათინა. მაკედონიაში მთელი მოსავალი გაფუჭებულია. სიმშილი მოსალოდნელია.

ბაგრა. შავსა და აზოვის ზღვაზე მოსიარულე გემებს რუსეთის საზოგადოებისას ბრძანება მიეცათ 40% დაუკლონ გაგრის გამოფენაზე ექსპონატების მისატან ხარჯსაო.

ვენა. იმპერატორი გალიციას წავიდა აღლუმზე.

სოფია. პოლიტიკურ წრეებში აღელვებულნი არიან იმის გამო, რომ საზღვრებზე ოსმალოს დიდი ჯარი იკრიბება.

ლვოვი. იარმუკობის დროს ზაბოლოტოვოში ხმა გაავრცელეს, ერთ ებრაელის სახლში ქალი მოჰკლესო, რომელმაც ხარი გაჰყიდა და ფული აიღოო. ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელი ცდილობდა ხალხი დაერწმუნებინა, ტყუილია ეს ხმაო, მაგრამ ხალხი მაინც დაეცა ებრაელებს. სამი ამათგანი მძიმედ დაიჭრა. ნახევარ საათს გასტანა ცემა-ტყეპამ.

სოფია. თუმცა ოფიციალურად გამოაცხადეს აჯანყებულნი დაამშვიდესო. მაგრამ რაზმები მაინც ჩნდებიან და შეტაკებანიც გრძელდება.

1 სეკდემბერი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა და ხელმწიფე მემკვიდრე აგვისტოს 30-ს ბელოვეჟს წავიდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო გაზ. «რუსსკია ვედომოსტი»-ს ცალკე ნომრობით გაყიდვისა.

კუნგური. აკურთხეს საუცხოო შენობა სამოქალაქო სასწავლებლისა 450 კაცისათვის, მათ იმპერატორებით უდიდებულესობის დაგვირგვინების სახსოვრად; შენობა 80,000 მანათად ჰღირს.

სედლეცი. დაიწვა ელქბიტოვის ჭარხლის შაქრის ქარხანა. ზარალი მეტად დიდია.

კიევი. 4 სეკდემბერს იწყება დოღი. სულ 52,000 მანეთის საჩუქარია დანიშნული.

ასხაბადი. ბელუჯისტანის ხანებმა დაჰყვეს აქ ერთი კვირა და მეშჰედზე გაემართნენ სეისტანს. იმათი თხოვნა ის იყო, რუსეთის მიწა-წყალზედ დაგვასახლეთო. სარწყავი მამულები აქაურ მკვიდრთათვისაც ნაკლებადა გვაქვსო, უპასუხეს. ნივთიერ შემწეობის იმედიც არ არის რუსეთის მთავრობის მხრივაო; სპარსეთის კეთილი მეზობლობაც დაიჩრდილება მაგითიო. ხანების ნაამბობიდან გამოირკვა, რომ ბელუჯისტანს მივატანეთ ინგლისელთაგან შევიწროებულებმა და გავიხიზნეთ სეისტანის მთებში, სადაც ქოჩად ვმავლობთ და მოვმთაბარობთო. რუსეთისთვის სასარგებლონი ვიქნებოდით, როგორც მხედარნი და მეომარნიო. ხარჯი ხანების ულუფისა, ვიდრე რუსეთის მიწა-წყალზედ იყვნენ და მათის მგზავრობისა მეშჰედამდე, იკისრა აქაურმა ადმინისტრაციამ.

ვაშინგტონი. ბეირუტის ვალიმ შეატყობინა ამერიკის კონსულს, რომ ძალიან ჩქარა დააკმაყოფილებს ამერიკის ვიცე-კონსული მაგელსონთან მომხდარ ინციდენტს და რომ მის განძრახვა აქვს სრულიად შესცვალოს მართვა-გამგეობა პოლიციის მოსამსახურეთა ბეირუთში.

ვენა. ხედივი სტამბოლს წავიდა,

გელსინგერი. ინგლისის დედოფალი მობძანდა.

სტამბოლი. მონასტირის და ადრიანოპოლის ვილაიეტებში კიდევ მოქმედობს ოსმალთა ჯარი მეამბოხეთა დასამშვიდებლად იმ ადგილებში, სადაც უკანასკნელ კვირეში 84 ბულგართა სოფელი გახდა მსხვერპლად ცეცხლისა და ბევრნი დახოცილ იქმნენ.

მარსელი. აღარავინ გამხდარა საეჭვო სენით ავად და აღარც არავინ მომკვდარა ავად გამხდართა შორის.

სოფია. ალბანიის რედიფები წააწყდნენ რიცხვ-მრავალ აჯანყებულთ და დიდად დაზარალდნენ.—ორგან-დანევის მთები სავსეა აჯანყებულთა პატარ-პატარა გუნდებით.— გაზ. «ბოლგარია» გულ-მხურვალედ ჰკიცხავს მთავრობის ქცევას, ოსმალეთს მუქარის მემორანდუმს უგზავნი. ითხოვს საერო კრებას და მოუწოდებ ამომრჩეველთ სადასო ბრძოლისათვისაო.

ბელგრადი. დილით იყო კრება, სტუდენტობის მიერ მოწოდებული. დაესწრო 2000 კაცი. კრებამ გადასწყვიტა, გაკიცხულ იქმნას საქციელი „ნაროდნი ლისტებისა“ და „ვეჩერნი ნოვოსტებისაო“.

ლვოვი. იმპერატორ ფრანც-იოსებს სულით და გულით მიეგებნენ. მოისმინა წირვა რუსისა და რომაულ კათოლიკეთა ტაძრებში; მიიღო დარბაზად კერძოდ რუსეთისა და გერმანიის კონსულები. შემდეგ ოფიციალური დარბაზობა ჰქონდა. ლანდ-მარშალ ბადენის მისალმებაზედ იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ გალიციის ლანდტაგის მოქმედება წინდახედული, მოსაზრებული და საფუძვლიანი არისო.

ბელგრადი. საბრალმდებლო ოქმი ნიშში დაპატიმრებულ ოფიცერთა შესახებ დამყარებულია იმ ფაქტზედ, რომ მოწოდება 29 მაისის შეთქმულობაში მონაწილეთა სრულიად გაკლეტის რჩევას იძლევა. სამხედრო კანონის ძალით ასეთ დანაშაულისათვის ერთ წლამდე დაპატიმრება შეიძლება, ხოლო მოთავეებისა რამდენისამე წლით. საბრალმდებლო ოქმში მეთაურებად დასახელებულნი არიან კაპიტანები ნოვაკოვიჩი და პეტროვიჩი და პორუჩიკები ლონგდემერსკი და დრუდარევიჩი. სამხედრო სასამართლოს სხდომები სეკდემბრის ორს დაიწყება.

პეტერბურგი. აგვისტოს 30-ს ადლუმის დროს ხელმწიფე იმპერატორმა ინება შემდეგ სიტყვების წარმოთქმა: «ვსვამ სადღეგრძელოს ჩემ სახელოვან ჯარების აღყვავებისა და გაძლიერებისა»

პეტერბურგის ბირჟა აგვისტოს 26

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინში 100 მარკაში	45,92½
პარიჟში 100 ფრანკში	37,52½
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,27½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95¼ მყიდ.
5% პირ. შინაგ მომგებ. ბილ. 1864	443¾ წ.
% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335 წვ. გაყიდ
5% გირავნ. ფურც. სასახლმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	288½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „ »	—
„კასპიის ამხანაგობისა.	--
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	187½ წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) **საფოსტო** № 3 **სადამოს 6 ს.** 18 წ. 3) **სამგზავრო** № 5 დილის **7 ს.** 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) **სამგზავრო** № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{3}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 სადამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს სადამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 სადამოს 10 ს. 16 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ. თელავიდგან ტფილისს ჩამოდის სადამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი კადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის სადამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და სადამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1½-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9 —11 აათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს— ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთგზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 “
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ.
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სად-ურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 „
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

უკეთუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ელ აათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან, 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ ჩვენი ადრესი! U. 11¹, an das Aunoncen-Bureau des Merkur in Mannheim, Meerfeldstrasse, 44.

(50—7)

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობის კარის ვაჭ.

Pasta Eugènie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისგან ალანძულებს, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლეს და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugènie თეთრი, ვარდის ფერიდა რაშელი, მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ლაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Flizir-Mélange წყალივით სახმარია თმის ასაზრდელად და თავში ქერტლის გასაწმენდად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. სნაზეს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი (თმის საცხებელი პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რას-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეინარჩუნებს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო ფერს და არც ჯაგრის ფერს. ფასი 3 მ.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმანი) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს მსწრაფელს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რის-გუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, ძირიან-ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—29)


Парфюмерія
„НИЛЬСКАЯ ЛИЛІЯ“
ДУХИ, МЫЛО, ПУДРА И ЦВѢТОЧНЫЙ О-ДЕ-КОЛОНЪ
Тво А. РАЛЛЕ и Ко
НИЛЬСКАЯ ЛИЛІЯ
Т-во А. РАЛЛЕ и Ко

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი; 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰკალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრულად და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სეკდემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექდემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და სადამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში:

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე.

ბუხგალტერი-სპეციალისტი

ამზადებს მსურველთ როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად **ორმაგ იტალიურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკისა, ფინანსიურ გამოანგარიშებისა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციას, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.**

სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ. ფასი მორიგებით. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 5-ს 1903 წ.

ადრესი: ტფილისი. **ალ. გ. საათაშვილს** ახალციხის შესახვევი, სახლი № 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად 3-დან 8 საათამდის.

ვამზადებ ბუხგალტერიის საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც სადამოს 9-დან 10 საათამდის შეეძლებათ სწავლა. ფასი მათთვის შეღავათიანია. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ მოწმობა მიეცემათ.

(3—190—3) ალ. გ. საათაშვილი.

საბუჰალტერო კლასები

ი. ი. ბრონ-ფონ-ბრენერისა

მიხეილის პროსპექტი № 161.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს და ნახევარს წელიწადს გასტანს. მასწავლებელთა კრებული საუკეთესო სპეციალისტებისაგან შესდგება. კლასებთან სავაჭრო მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ბიჟროც არის. პროგრამა ს.-პეტერბურგის კურსებისა. საგანგებო ლექციები იქნება სავაჭრო საქონლის მეტყველებისა, კომერციულ ეკონომიისა, საგანგებო ანგარიშებისა: ბანკისა, რკინის გზისა, სახელმწიფო ხაზინისა, სახაზინო სასმელთა ვაჭრობისა, ფაბრიკისა და სხვ. თხოვნები მიიღება 10 სექტემბრამდე კლასების კანცელარიაში, მიხეილის პროსპექტზე, № 161, დილის 9 საათიდან 1-მდე და სადამოს 5 საათიდან 8-მდე დამაარსებელი კლასებისა ი. ბრონ-ფონ-ბრენერი. (15—10)

Дозволено цензурою, Тифлисъ. 31 августа 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი.